როგორ დავრგოთ ხე

შენი აზრით, ადვილია ხის დარგვა?
ეს ტექსტი დაგეხმარება ხის სწორად დარგვაში.

ხის დარგვა კარგი და კეთილი საქმეა.

იცი, როგორ უნდა დარგო ხე? ამისათვის ხის დარგვის წესები უნდა დაიცვა.

გახსოვდეს, ხე უნდა დარგო შემოდგომაზე, სანამ **ყინვა** დაიწყება. ასევე იგი შეიძლება დაირგოს ადრე გაზაფხულზე. ხე უნდა იყოს მხოლოდ ორი ან სამი წლის. ხეებს შორის მანძილი არ უნდა იყოს ორ მეტრზე ნაკლები.

ხის დარგვის წესები:

- შეარჩიე ხისთვის ადგილი.
- დაასხი მიწას წყალი.
- მეორე დღეს ამოთხარე ორმო. ორმო უნდა იყოს დიდი და ღრმა.
- ორმოში ჩადე ხე და გაამაგრე. ამისათვის შეუყენე ჯოხი.
- ამოავსე ორმო მიწით.
- ბოლოს მორწყე ხე.



შენი აზრით, ადვილია ხის დარგის წესი?

დონე: *A* *გარდამავალი,* **კომპონენტი:** *თანამიმდევრობა*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ტექსტის მიხედვით, როცა ხის დარგვას აპირებ, ჯერ:

ა) ამოთხარე ღმა ორმო.

ბ) გაეცანი დარგვის წესებს.

გ) მორწყე ამოთხრილი მიწა.

2 ხის დარგვის წესის მიხედვით, პირველად:

ა) უნდა კარგად მორწყო მიწა.

ბ) უნდა იპოვო კარგი ადგილი.

გ) უნდა ამოთხარო დიდი ორმო.

3 ორმოში ხის ჩარგვის შემდეგ, ჯერ:

ა) მიწას წყალი უნდა დაასხა.

ბ) ორმო მიწით უნდა ამოავსო.

გ) ხე ჯოხით უნდა გაამაგრო.

4 ხის დარგვის ბოლო ნაბიჯია:

ა) ხის მორწყვა.

ბ) ორმოს ამოვსება.

გ) ჯოხით გამაგრება.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობა.

ხე დარგე შემოდგომაზე, სანამ **ყინვა** დაიწყება. **ყინვა** არის:

ა) ცუდი ამინდი. ბ) ძლიერი სიცივე. გ) ძლიერი ქარი.

2 სწორად შეარჩიე სიტყვები და ჩაწერე წინადადებებში.

ახლოს	კეთილი	ღრმა

1. ხის დარგვა ---------- საქმეა.
2. ხეები ერთმანეთთან ---------- არ უნდა დარგო.
3. ამოთხარე ---------- ორმო.

3 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები.

ა) ბოლოს – დასასრულს. ბ) მხოლოდ – მარტო. გ) ჯერ – შემდეგ.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები სწორი ფორმით.

1. ხე უნდა დარგო ---------- . (შემოდგომა)
2. შეიძლება ხე დარგო ადრე ----------. (გაზაფხული)
3. ხეებს შორის მანძილი არ უნდა იყოს ორ ---------- ნაკლები. (მეტრი)

2 დაწერე მრავლობით რიცხვში.

ნიმუში: ხე — ხეები.

1. ორმო – ----------. 2. ადგილი – ----------.

გრამატიკა

3 შეარჩიე სწორი ფორმა.

1.უნდა ---------- ღრმა ორმო. *(ამოთხარე /ამოთხარო)*

2. ხისთვის უნდა ---------- ადგილი. *(შეარჩიო / შეარჩიე)*

წერა

1 დაუწერე მეგობარს ხის დარგვის წესები. გააფორმე შენი ნამუშევარი ნახატებით.

1. პირველად ----------

---

2. შემდეგ ----------

---

3. ამის შემდეგ ----------

---

4. მანამ, სანამ ----------

---

5. შემდეგ ----------

---

6. ბოლოს ----------